

**ფოთის
ცენტრალური
სტადიონის
მშენებლობა
განახლდა**

33. 2

**პროფკავშირის
მოთხოვნით გაღებულ
მრავალწლიანი
პრობლემა
მოგვარებულია**

33. 3

**ფოთში საჯარო
მოხელეთა
სახელფასო
ანაზღაურება
გაიზარდა**

33. 2

ფოთის ცენტრალური სტადიონის მშენებლობა განახლდა

ფასი 50 თეთრი

№ 3 16 - 22 თებერვალი

2015 წელი

გაომის საგზაოპოლიტი

**ვახტანგ დარცხელიძე:
„არ ვიხლოდით ამ
თავხედური
ერთპიროვნული
გადაწყვეტილების
შესახებ,,**

33.3

**ბელქანიას ხელოვნური
ბარიერის კანონით
გარღვევის იმედი აქვს
წლებია გარემოვაჭრათა
პრობლემა მოგვარებულია**

33. 4

**უბედური შემთხვევის
შედეგად ლოგინს
მიჯაჭვული
ახალგაზრდა**

33. 6

**რა ბედი ელის
შეჩერებულ
მშენებლობებს?
33. 4
შენ ჯერ ემ არ
ბინახავს?**

ფოთელთა საზღვაო სადგურის შენობის დაგეგმვა აკრძებსტეხენ



ნიმუ გვანალია ფოთი


ფოთის პორტის შენობასთან დაკავშირებული საკითხები ფოთელი საზოგადოებისთვის ერთგვარ პრობლემას წარმოადგენს, რადგან შენობა 2011 წელს “ეი-პი-ემ ტერმინალ ფოთის” ტერიტორიაზე მოექცა და 2012 წელს კომპანია ამ მისი დემონტაჟი მოითხოვა, რაზეც ნებართვა ქალაქის მაშინდელი საკრებულოს თავმჯდომარისგან მიიღო კიდევ, დღეს კი მას დანგრევის საფრთხე ემუქრება. გარდა ამისა, ადგილობრივი მაცხოვრებლები პორტის გასწვრივების საკითხის გამოც უკმაყოფილებას გამოხატავენ და მიაჩნიათ, რომ მისი კანონიერებით შესაბამისი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ. ამ პრობლემებთან დაკავშირებით ფოთის პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნიკო ნიკოლაძის ძეგლთან გაიმართა აქცია, სადაც თავი მოიყარა ფოთელმა მოსახლეობამ და სხვადასხვა ორგანიზაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

საზოგადოების აზრის დარბაზის წევრმა, თამაზ პაჭკორიამ ისაუბრა ქალაქში არსებულ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ ფოთი განსაცდელშია, მას ართმევენ საზღვაო ქალაქის სახელს და ცდილობენ, რომ მხოლოდ ტერმინალის ფუნქცია დაუტოვონ: „ჩვენმა ყოფილმა უბადრუკმა მთავრობამ და მათმა მემკვიდრეებმა იპოვეს კომპანია, რომლებიც ფოთელებს პორტში შესვლასა და გემთან მიანლობას კი არა, ზღვისკენ განედვასაც კი უკრძალავენ, ჩვენ ვითარების გაუმჯობესებას ველოდით, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. ეკონომიკის სამინისტრომ ზურგი აქცია ფოთელებსაც და ქვეყანასაც, მან ნავსადგურის ახალ მუპატრონესთან დადებული ხელშეკრულება გაასაიდუმლოა. დაგვიძალეს და გაასხვისეს ამიერკავკასიისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტი. ნავსადგურის ახალი მუპა-

ტრონე არ იმსახურებს ჩვენგან კეთილგანწყობას - ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ნავსადგურში დღეს სრული ქაოსი და უწყესრიგობაა, მონურ მდგომარეობაშია მომსახურე პერსონალი, დარღვეულია ყოველგვარი ნორმები და პირობები, კვლავ გრძელდება ნავსადგურში მინერალის ალუმინის ოქსიდის ღიად დამუშავება, რაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან მავნებელია. ნავსადგურის ამჟამინდელი ხელისუფლება არ მონაწილეობს ქალაქის განვითარებასა და კეთილმოწყობის პროექტებში, პირიქით, ზღუდავს და ქმნის პრობლემებს, ერთ-ერთი ამ პრობლემათაგანია ის, რომ აუკრძალეს ზღვაში გასვლა და ანკესით თევზაობა იმ მოყვარულ მეთევზეებს, რომლებიც ნავსადგურის დაარსებიდან თევზაობდნენ ბრიკვადორზე და ამით ირჩენდნენ თავს. ეს ყველაფერი ალბათ, იმის ბრალიცაა, რომ ფოთელები ინერტულები ვართ, თავის დროზე უნდა ამოგველო ხმა, საზოგადოება ვალდებულია აქტიურად ჩაებას ქალაქის ცხოვრებაში. ჩვენ პირობას ვიძლევი, რომ სამართლიანობის აღსადგენად ბოლომდე ვიბრძოლებთ”.

მოყვარულ მეთევზეთა ჯგუფი ავრცელებს წერილს, სადაც ითხოვენ სათევზაოდ გასვლის ნებართვას. წერილში წერია, რომ ქალაქში ძალიან ცუდი მდგომარეობაა, ნაბადის ტერიტორიაზე მთლიანად გადაკეტილია ზღვის სემინტი და მოსახლეობას ზაფხულში საბანაოდაც კი არ უშვებენ. ადრე იქ ყანები და ბოსტნები ჰქონდა ხალხს, მაგრამ მას შემდეგ რაც ეს მიწები გაასაჩუქრეს, უცხოელებმა შემოღობეს იქაურთა და მიანლობაც არ შეიძლება. რესურსებისა და შესაძლებლობებით ყველაზე მდიდარი ქალაქი დღეს უდარბესი და გაპარტახებულია. ყველაფერი გაყიდულია, ქალაქი - გამარცხვული. პაღმებაც კი ამოთხარეს - ანაკლიას უფრო დაამშვენებსო.

გაგრძელება 2-33.



**ამ გვიპოვი ჩვენ
www.msnews.ge**

gamomcemeli da
direqtori,
mTavari redaqtori
inga gvasalia -
599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

redaqtori
mari javaxia -
579 241 122

distribuciois
samsaxuri
eka kacaria
568845740

კორექსორდენტები:
TaTia lolua
(foTi)
598 147 907

eka urTmeliZe
(foTi)
598685937

giorgi seskuria
(zugdidi)
555 14 76 24

gamoqveynebuli masa-
lis Sinaarsi SeiZleba ar
emTxveodes
redaqciis
Tvalsazriss. statiis
avtorebi Tavad ageben
paxus informaciis
sizusteze.
redaqciaSi audio masa-
lebi inaxeba ori kviris
gasvlis Semdeg pretn-
ziebi ar miReba.
ბამოქმედებულ
მასალებში

ბადაპქვავა
რედაქციის

ნაპარტის
ბარემი
აპრძალულია.

2013 წლის ბო-
ლოდან 7 % -ით
გაუფასურდა
ეროვნული ვალუტა,
როგორც ეროვნულ-
ლი ბანკის პრე-
ზიდენტი გიორგი
ქადაგიძე აცხადებს
ვალუტის კურსის



ვარდნა მყარია.
და ზღვრულ ნიშ-
ნულს არ ცილდე-
ბა. გასულ წელს
23 %-ით გაიზარდა
ქვეყნის მიმოქცე-
ვაში არსებული
ფუნის რაოდენო-
ბა. ერქვარტების
აზრით მთავრობა
ხედავს ფულს
ბეჭდავს, რაც ინ-
ფლაციის მიზეზია.
მიმდინარე წლის
ინფორმის დოლა-
რის მიმართ ღა-
რის კურსი ყოველ-
დღიურად იცვლება
და მაღლა მიიწევს.
ბოლო დღეების
მონაცემებით ერთი
ამერიკული დო-
ლარი -2 ლარზე
მეტია, ერთი ევრო
- 2,3 ლარი, ერთი
თურქული ლირა -
0,78 ლარი.

ფოთელი საზოგადოებრივი სახელმწიფოს აპროტესტები

დასაწყისი პირველი გე-ზე

აქციის მონაწილეებს საზოგადოებრივი
დარბაზის წევრი გოჩა აბილაშვილი მიმართა:
„უდავოა ის ფაქტი, რომ ფოთი ერთ-ერთი
ყველაზე სტრატეგიული ნავსადგურია არა-
მარტო საქართველოში, არამედ მთელ, შავი
ზღვის აკვატორიაში, შესაბამისად, ქალაქი
უნდა იყოს მოწოდებული და სარეგულირებელი
იმ სიკეთით, რასაც მას აძლევს ზღვა და
შესაბამისი ნავსადგური, მაგრამ დღევანდე-
ლი მდგომარეობით ქალაქი წარმოადგენდა
საქართველოს მასშტაბით ყველაზე ღარიბი,
სოციალური და ეკოლოგიური კატასტრო-
ფის წინაშე მდგომ ქალაქად, ეს ყველაფე-
რი კი განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:
ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივმა
ხელისუფლებამ და ყოფილმა პრეზიდენტმა
მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის 8 აპრილს
ერთპიროვნულად გაიყვანა ქალაქი ფოთის
სახელმწიფო - სავაჭრო ნავსადგურის აქციათა
პაკეტის 52% და მივიდეს არაბულ ჯგუფს.
იმავ დღეებში ქონების მართვის სამინისტრომ
მიიღო გადაწყვეტილება, რომ უკვე გაყიდუ-
ლი ნავსადგურის ქონებას დამატებოდა 29
პექტარი მიწის ნაკვეთი შესაბამისი პირო-
ბით, რამაც უზარადად დააზარადა ქალაქის
განვითარებაში უნდა ჩაეღო 65 მილიონი
დოლარი, მაგრამ მსგავსი არაფერი მოხდა-
რა. უმთავრესად ნავსადგურთან დაკავშირებით
კი, შარშან თვითონ ქალაქის მმართველო-
ბამ, მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილე-
ბა პორტის შენობის დემონტაჟის შესახებ.
ეს ბრძანება უნდა გაბათილდეს, ვინაიდან არ
არსებობს მისი არც იურიდიული საფუძვლე-
ბი და ზოგად-ადმინისტრაციული კოდექსის
მოთხოვნებიც დარღვეულია“.

მორვაგზალის შესადლო დანერგვისთან
დაკავშირებით აქციის მონაწილეებმა თავისი
აზრი გამოთქვეს. „მოსახლეობისადმი არის
უსულელლო მიდგომა. ეტაპობრივად იწყე-
ბა ნავსადგურის ტერიტორიის გაფართოე-
ბა, შემოღობვა, მიუხედავად ხალხის წინა-
აღმდეგობისა, ნიკო ნიკოლაძის ძეგლი აქედ
გადმოიტანეს, ნაბადაში მთელი ტერიტორია
გადაკეტოდა და იქ მცხოვრებს არ აქვს სა-
შუალება ზღვისკენ გასვლისა. ახლა ამბობენ,
რომ ნავსადგურის შენობას დემონტაჟი უნდა
გაუკეთონ, მეზღვურთა შენობა გაასხვისეს,
ქალაქის საავადმყოფო წავკაროთვეს, ქალთა
კონსულტაციის შენობაც გაასხვისეს, სანა-
პირო ზოლი გაგვიყდეს, ჩვენს მეთევზეებს
ზღვაში არ უშვებენ, მოსახლეობას წამლავენ,
არაფინ გვიხმენს, ხელისუფლება იცვლება და
მდგომარეობაც იცვლება მხოლოდ უარესო-
ბისკენ“ - განაცხადა ოთარ ალანიაძე.

ამ საკითხებთან დაკავშირებით „ეი-პი-
ემ ტერმინალ ფოთის“ ადმინისტრაცია კო-
მენტარს არ აკეთებს. კერძო საუბარში კი
აცხადებენ, რომ კანონიერების ფარგლებში
მოქმედებენ. ადგილობრვ ხელისუფლებაში
გვპირდებიან, რომ შეეცდებიან არსებული
ვითარების დარეგულირებასა და იმ პრობლე-
მების მოგვარებას, რომელსაც ასე მწვავედ
განიცდის ფოთელი მოსახლეობა.

მიიღოს გადაწყვეტილება ამ შენობის აღების
თაობაზე, მაგრამ წლებია არაფერი შეცვლი-
ლა. ეს შენობა სრულიად უსარგებლოა, უვარ-



ფოთის სანატორი სტადიონის მშენებლობა განახლდა

კაა უთელიკა
ფოთი

ფოთის ცენტრალური სტადიონის მშენებლობა განახლებუ-
ლია. მშენებლობის განახლებისთვის ხელმოწერა
ახალი ტენდერი. აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებული ფირმა
გახლავს შპს „ხიდი“, რომელიც ამჟამად სარეაბილიტაციო
სამუშაოებს ასრულებს. 2013 წელს ტენდერით გამარჯვებული
ფირმა „ნეწ ცონტრაცტიონ“-თან დაკავშირებული მოვალეობის
არაფეროდან შესრულებლობის გამო დადებული ხელშეკრუ-
ლება მოიხსნა. სტადიონის რეაბილიტაციისთვის შეფასებული
თანხა გახლავთ 6,5 მილიონი ლარი. დღეს კი დაწყებული
სამუშაოების განახლება მიმდინარეობს. პირველი ტენდერი
რახვეც გამოცხადდა, არის დასავლეთ ტრიბუნის დასრულება,
ხლო დანარჩენ სამუშაოებზე ისევ უნდა გამოცხადდეს ტენ-
დერი. ამჯერად დასავლეთ ტრიბუნის მუშაობა ინტენსიურად
მიმდინარეობს და მისის ბოლოს უნდა დასრულდეს. მშენე-
ბლობაზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.



ფოთში საჯარო მონაწიფეთა სახელმწიფო ანაზღაურება გიორგი

მაია ჯანაშია
ფოთი

ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-5 (რიგგარეშე)
მოწვევის სხდომაზე
კანონმდებლობა, მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს
თანამდებობის პირთა და სხვა მომსახურეთა გაზრდილი თა-
ნამდებობრივი სარგოები დამატკიცეს.
საკრებულოს თავმჯდომარის აღმასრულებელი თოფურია თქმით,
მერიის და საკრებულოს თანამდებობის პირთათვის ხელფასე-
ბის გაზრდის გადაწყვეტილება ადგილობრივი ხელისუფლების
მხრიდან საჯარო მონაწიფეთა მიმართ მათი შრომის შესაბამი-
სად დაფასების გამოხატულებაა.
საჯარო სამსახურებში ხელფასების მატებას ნაციონალური
მოძრაობა აპროტესტებს. როგორც ამბობენ, მიზანშეწონილი
არ არის ხელფასების ზრდა მაშინ, როცა ქალაქში ინფრას-
ტრუქტურული პროექტები შეჩერებულია. საკრებულოს სხდო-
მაზე წარმოდგენილ პროექტს მათ მხარი არ დაუჭირეს, მაგრამ
უმრავლესობის მხარდაჭერით, საკითხი მაინც გადაიდა.
ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით მერიაში ამბობენ, რომ
ეს თანხები გათვალისწინებული იყო 3 ერთეული ტექნიკის
შესაძინად, მაგრამ მერე ტექნიკისთვის საჭირო თანხები ცენ-
ტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდა და ამ ფულით მოხდებოდა
ხელფასების 15-დან 18 პროცენტამდე ზრდა. მერიაში იმა-
საც განმარტავენ და ხელფასების ზრდას იმით ხსნიან, რომ
წლებიდან იყო ბიუჯეტი წინა ხელისუფლების დროს არსებულ
სახელფასო ფონდზე ნაკლებია.

ინფორმაციით ფოთელი საკრებულოში მოხდენა

ფოთის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში ინფორმაციის
დიაგნოზით მოქალაქეები მოხვდნენ. მედიკოსონალის
განმარტებით, მოწამულას პაციენტების პორტის ტერიტორიაზე
გავრცელებულ სუნს უკავშირდებიან.
როგორც ცნობილია, პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე მო-
სახლეობა სპეციფიკურმა უსიამონო სუნმა შეაწუხა. ცოტა
ხანში მოქალაქეებმა თავბრუსხვევა და სისუსტე იგრძნეს. რო-
გორც გაირკვა, აღნიშნული უსიამონო სუნი ფოთის სახელგა-
ნავსადგურის მეორე ნაპირსადაგომზე მალტას დროშის ქვეშ
მცურავ გემ თ -ში სარკინიგზო ცისტერნადან პიროლიზური
ფისის გადატვირთვის დროს ქიმიური ნივთიერების დაღვრამ
გამოიწვია. პორტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პანიკის
საფუძველი არ არსებობდა.
მოგვიანებით, აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია გა-
რემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომაც
გაავრცელა: „პიროლიზებული ფისი აქროლად ნივთიერებებს
შეიცავს, რამაც ქალაქის ტერიტორიაზე სუნის გავრცელება
გამოიწვია. პიროლიზური ფისი სპეციალურ სადრენაჟე ნაგე-
ბობაში ჩაიღვარა. ამ ეტაპზე ნავსადგურის ადმინისტრაციის
მიერ, დაბინძურების ლოკალიზაციისა და სალოკალიზაციო ძირი-
თადი სამუშაოები დაიკვიდრებულა. არსებობს ნივთიერების
ჩატუმბვა ვაგონ-ცისტერნებში განხორციელდა უსაფრთხოების
ნორმების დაცვით. ფოთის სახელგაო ნავსადგურის ტერიტო-
რია კონტროლზეა აყვანილი, რაც ადამიანის ჯანმრთელობასა
და გარემოზე მავნე ზემოქმედებას გამორიცხავს. ამ ეტაპზე
მიმდინარეობს ინციდენტის გამოძვევი მიზეზების დადგენა.
ადგილზე მუშაობს საგანგებო შტაბი. განხორციელდა სინჯე-
ბის აღება და გატარდება შესაბამისი რეაგირება“.


პროფკავშირის მოთხოვნით ბაღებში მრავალწლიანი პრობლემა მოგვარებულია

ნიმუ გვასალია ფოთი

უკვე რამდენიმე თვეა, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ფოთის საქალაქო ორგანიზაცია ითხოვს ქალაქის ბაღებში დასაქმებულთა უფლებების დაცვას. უნდა აღინიშნოს, რომ მათი უფლებები 2007 წლიდან ირღვეოდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ფოთში არსებული 15 სააღმშრდლო დაწესებულებაში დასაქმებულებს, დაახლოებით 320 ადამიანს, წელიწადში ორჯერ უწევდა განცხადების დაწერა თავიანთ სამსახურებში, რათა ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციას თავიდან მიეღო სამუშაოდ, რაც არსებული შრომის კოდექსის უხეში დარღვევა გახლავთ. ამდენად, ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ინგა გვასალიამ რამდენჯერმე წერილით მიმართა ფოთის მერს, ირაკლი კაკულაიას, საკრებულოს თავმჯდომარეებს (ყოფილსაც და ახლანდელსაც), სხვადასხვა საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეებს, მერის მოადგილესა და სხვა შესაბამის სტრუქტურებს, რომელშიც ითხოვდა ბაღ-ბაღებში დასაქმებულთა გაფორმებულიყო შრომითი ხელშეკრულება და არა რამდენიმე თვის ბრძანებით დაენიშნათ ადგილებზე. წერილში გარკვევით იყო აღნიშნული, რომ ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანიზაციის კანონის შრომის კოდექსის მოვლ რიგ დებულებებს, კერძოდ მერს მუხლის პირველ პუნქტს, სადაც ნათქვამია: „შრომითი ხელშეკრულება იდება უცილობლად წერილობითი ფორმით, თუ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება“. ამავდროულად, შრომის კოდექსი განსაზღვრავს შრომით ხელშეკრულებ

ის მინიმალურ ერთწლიან ვადას მეექვსე მუხლის 1-2 პუნქტების მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში სკოლამდელი სააღმშრდლო გაერთიანების ხელმძღვანელობა ვალდებული გახლავთ, დასაქმებულთან დაედო მინიმუმ ერთწლიანი ხელშეკრულება წერილობითი ფორმით. გარდა ზემოთ მოყვანილი წერილისა, ბაღებში დასაქმებულების შრომითი ურთიერთობის დარღვევებისა და კანონის ფარგლებში მოქცევის თხოვნით, საქართველოს პედაგოგთა და თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტმა მაია კობახიძემაც იურიდიული დასკვნებით, პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკა ბესელიას მიმართა. გვასალია თავის წერილებში შრომითი ურთიერთობის დარღვევების გარდა, ითხოვდა ხელფასების მომატებასაც. რამდენიმე თვეში პროფკავშირების ამ მოთხოვნამ შედეგიც გამოიღო. ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიწყო რეაგირება ამ საკითხზე და რამდენიმე დღის წინ სამბაჟის ფოთის სააღმშრდლო ორგანიზაციაში უკვე წერილობით მიიღო გადაწყვეტილება. როგორც საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ინგა გვასალია ამბობს: „12 სექტემბერს ამირიხეს თავმჯდომარე და 24 სექტემბერს წერილით მიემართე ქალაქის მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს და შესაბამის სტრუქტურებს, რომ ბაღებში არსებული პრობლემით დაინტერესებულიყვნენ. საბავშვო ბაღებში ძალიან რთული ვითარება გახლავთ, როგორც ხელშეკრულებებით, ისე ხელფასებთან დაკავშირებითაც. წლების განმავლობაში საქმე გვექონდა შრომის კოდექსის

უხეში დარღვევასთან. როგორც გავარკვევ, 2007 წლიდან იყვნენ ბაღებში დასაქმებულები ხელშეკრულების გარეშე და წელიწადში ორჯერ ბრძანებით ინიშნებოდნენ, რაც კანონის უხეში დარღვევაა. უკვე მივიღეთ პასუხი ადგილობრივი ხელისუფლებისგან, რომ ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, ბაღებში დასაქმებულებს უკვე აღარ მოუწევთ წელიწადში ორჯერ განცხადების დაწერა და 1 წლის ვადით გაუფორმდებთ ხელშეკრულებას. ამავდროულად, როგორც მერიიდან მიღებული წერილით ვიგებთ, ხელისუფლება გააგრძელებს მუშაობას უვადო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, რადგან შრომის კოდექსის მიხედვით, თუ ხუთ წელზე დიდხანს მუშაობს პიროვნება ერთსა და იმავე ორგანიზაციაში, 2014 წლის 12 ივლისიდან უვადო ხელშეკრულება ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაღებში დასაქმებულთა საკმაოდ დიდ ნაწილს აქვს არათუ ხუთწლიანი, არამედ 20 - 30 - 40 წლიანი სამუშაო სტაჟი კი, მათ უკვე ეკუთვნის უვადო ხელშეკრულებები. როგორც გვპირდებიან, ეს ხარვეზიც გამოსწორდება. ასევე, როგორც წერილშია აღნიშნული, ის პიროვნებები, რომლებთანაც დაილო ერთწლიანი შრომის ხელშეკრულება, ავტომატურად უკვე ითვლებიან უვადო ხელშეკრულებაში. გარდა ამისა, ვითხოვდი ბაღებში დასაქმებულების ხელფასების მომატებას, რადგან ბაღების დაფინანსება გაიზარდა 200 000 ლარით და 2015 წლის ბიუჯეტში გაჩნდა შესაძლებლობა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისა. ამ საკითხშიც დამეთანხმა ადგილობრივი ხელისუფლება და ამ ეტაპისთვის ნაწილობრივ პრობლემა მოგვარებულია. 160 ათასი დამატება სახელფასო ფონდს, რაც აისახება არა ყოველთაა იურ ხელფასის გაზრდაზე, არამედ



თვეთა რაოდენობაზე, თუ აქამდე 10 თვე ქონდათ ხელფასი, ახლა არცერთი თვე არ მოუწევთ ხელფასის გარეშე მუშაობა“. როგორც ირკვევა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის ძალისხმევით პრობლემა უკვე გადაიჭრა და ბაღებში დასაქმებულებს ექნებათ ერთწლიანი ხელშეკრულება. ამას გარდა, თუ მანამდე მხოლოდ ათი თვე ქონდათ ხელფასი და 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე არც კი ირიცხებოდნენ აღნიშნული ორგანიზაციის თანამშრომლად, უკვე ეს პრობლემაც მოგვარებულია - ისინი პირველი აგვისტოდან 1 სექტემბრამდე იქნებიან შვეულულებაში და 12 თვის განმავლობაში მიიღებენ ხელფასს. ასევე, მათ ექნებათ დამატებითი ხელფასი პრემიის სახით. ის პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ამ ეტაპისთვის ითხოვდნენ, ქალაქის ბიუჯეტის შესაბამისად, მოგვარებულია, როგორ განვითარდება მოვლენები და გაუმჯობესდება თუ არა არა საერთოდ დასაქმებულთა პირობები, ამას დრო გვიჩვენებს.

პანტანო დარსმელია: „არ ვიხსოვრები ამ თავხედური ერთპიროვნული გადაწყვეტილების შესახებ,,

თათია ლოლა ფოთი

ბოლო დროს დიდი ხმაურია ატეხილი ფოთის პორტის ირგვლივ. კერძოდ, საზღვაო ვაჭრის დანგრევის, პორტის გაყიდვისა თუ გასხვისების თაობაზე. ერთი სიტყვით, არსებობს სხვადასხვა ვერსიები და მათ დასასრული არ აქვს. ამჯერად პორტის თემით ქალაქში შექმნილი საზოგადოებრივი დარბაზი დაინტერესდა. მათ არაერთი წერილით მიმართეს ყველა შესაბამის სტრუქტურებს. აღნიშნული დარბაზის წევრების განმარტებით, ნავსადგურის დემონტაჟი კანონთან შეუსაბამობაში მოდის: „დროა, ყველაფერს ნათელი მოეფინოს. ეს ტერიტორია გადაცემულია ნავსადგურისთვის 2008 წლის 8 მარტს სახელმწიფო ქონების მართვის სა-

ვის გაურკვეველია, ეს მართლაც მართვის უფლებითაა გადაცემული, იყიდა არ იყიდა. აღნიშნული ხელშეკრულების გასაჯაროებას ჩვენ თვითონ ვითხოვთ, რაც, ბუნებრივია, ნათელს მოჰყვანს, რა მდგომარეობაშია დღევანდელი გადასახედიდან ნავსადგური და მისი მიმდებარე ტერიტორია. მეორე მომენტია, რომ ქალაქის წინა მოწვევის საკრებულოს ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნული შენობის დემონტაჟის თაობაზე. დემონტაჟი ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს და საქართველოს კანონს 57 დადგენილება მშენებლობის ნებართვის წესისა და პირობების შესახებ. არ მომხდარა შენობის შეფასება, ექსპერტიზა, თუ რატომ ითხო-



ბის ქალაქი ყველაზე უღარიბესი და ყველაზე განუვითარებელია საქართველოში. ეს პრობლემები ადრე თუ გვიან მაინც დადგებოდა როგორც ინვესტორის, ასევე ქალაქის ხელმძღვანელობის წინაშე და ერთხელ და სამუდამოდ ეს საკითხი გადაჭრას მოითხოვს. ჩვენ შესაბამისი წერილით მიემართეთ საქართველოს მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და საქართველოს მთავრობიდან გვაქვს მიღებული წერილი, სადაც ქალაქის მერისა და ეკონომიკის სამინისტროს ავალებს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას და იმედი გვაქვს, რომ ხვალ-ხვ დავეხდებით ერთად ეკონომიკის სამინისტროსთან, ქალაქის მერიასთან, შესაბამის სამსახურებთან ერთად და ნათელი

მოეფინება, ასევე განისაზღვრება ქალაქის შემდგომი ბედი და აღნიშნულზე დამოკიდებული ქალაქის თანაცხოვრება და შემდგომი განვითარება“. როგორც საზოგადოებრივ დარბაზის წევრები ამბობენ, საზღვაო სადგურის („მორვაგზალ“) დანგრევით ქალაქს საზღვაო ქალაქის სტატუსი ჩამოერთმევა და ის მხოლოდ ტერიტორიების ქალაქი გახდება. ფოთის საზღვაო სადგური, რომელიც ერთ დროს ფოთელების ყველაზე კოლორიტულ და მიმზიდველ ადგილს წარმოადგენდა, დღეს ფაქტობრივად ქალაქისგან აბსულუტურად გარიყულია. წლებია, რიგითი ფოთელებისთვის „მორვაგზალთან“ მისვლა და ზღვის ღამაში ხედის

დასანანი და ანაზრანი ღვინო ბაგილას ანთი უმსგავსო საყიდი. საკრებულოს თავმჯდომარე ინფორმაციური ბრძანების ხელმძღვანელი საკრებულოს ბიუროს ავლით, რეაგირება გადამხდის სასაზღვაო სადგურის უფროსს დეპუტატი. ამ შემთხვევაში ღვინო ბაგილასა და ანაზრანს კოლაბორაცია და არ შეუთანხმებ თავის კოლაბორაციას. საპარსხვირო გადაწყვეტილება. კალიან ვნახვარ, ნაფილიად არ ვიხსოვრები ამ თავხედური ერთპიროვნული გადაწყვეტილების შესახებ. გამონახული ვარ და კალიან გაბრახავული.

ავენტოს ბრძანებით. საწესდებო კაპიტალში შეიტანეს ცვლილება და იმავე დღესვე გაყიდულია ნავსადგურის წილის 52 % 90 მილიონ დოლარად და პირადად პირი მიყიდვის წესით, განკარგულია გამოსცა სააკაშვილმა. შემდეგ შესაბამისად განვითარდა მოვლენებიც, ქონება გადაეცა „აი პი ემ“ ტერიტორიის მართვის უფლებით. ყოველი შემთხვევისათვის, ჩვენ-

ვენ შენობის დემონტაჟს, ან როგორ უნდა განვითარდეს და რა პირობებში უნდა იცხოვროს მოსახლეობამ, როდესაც ზღვასთან მისახველი გზა მოეჭრათ და ზურგიით არის ფაქტობრივად ქალაქთან. უდიდესი შემოსავლების ნავსადგური ქალაქის ინფრასტრუქტურისთვის არანაირ თანხებს არ იღებს, რის გამოც ოდესღაც უმდიდრესი შემოსავლე-

ბელქანიას ხელოვნური ბარიერის კანონით ბარჯევის იმედი აქვს

წლებია გარემოვაჭრეთა პრობლემები მოუხვარებელია

ინოვაციური
ფოტო

გარემოვაჭრეთა პრობლემა საქართველოს ყველა ქალაქში არსებობს და ეს პრობლემა მიიქცევა იმდენად, რამდენადც მიიქცევა იმ ადამიანთა სოციალური მდგომარეობა, რომლებიც გარემოვაჭრობით ირჩევენ თავს. ეს პრობლემა მოუგვარებელ საკითხთა შორის ერთ-ერთ მთავარ ადგილს იკავებს და მისი სიმწვავეზე ბევრი საუბრობს როგორც მოსახლეობაში, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში.

ფოტოში გარემოვაჭრობის პრობლემას უკვე წლებია, თვალს ვადევნებთ და ცხადად ჩანს, რომ მდგომარეობა უკეთესობისკენ ჯერ არ შეცვლილა. არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ გარემოვაჭრებს, რომლებმაც რამდენიმე პრობლემა გამოყვეს: „სიცივესა თუ სიცხეში გარეთ გვიწევს ყოფნა, შიგნით საკმარისი დახლებიც არ არის, რომ ავიღოთ ადგილი და შევძლოთ ბაზარში ვაჭრობა, ზოგიერთს გარეთ ყოფნის უფლებასაც არ აძლევენ. ამასთან, ვაჭრობაც აღარ არის, ხალხს ფული არ აქვს. მართალია, ახალი მთავრობა ბევრ რამეს გვპირდებოდა, მაგრამ ჯერ ვერაფერს ვხედავთ სასიკეთოს, საშინელი მდგომარეობაა“- აღნიშნავს ერთ-ერთი გარემოვაჭრე როზი სარიშვილი.

ფოტის ბაზრის შპს „ლუკა“-ს დირექტორი თეა ბელქანია კატეგორიულად არ ეთანხმება გარემოვაჭრეებს იმაში, რომ ბაზარში დახლების საკმარისი რაოდენობა არ არის. როგორც ბელქანია ამბობს, ბაზარში მოვაჭრეთათვის 280 ადგილია და ამჟამად მხოლოდ 20%-ია დაკავებული მოვაჭრეების მიერ: „ბაზრის პირველ სართულზე არსებული 280 ადგილიდან დაკავებულია მხოლოდ 30 ადგილი. ბაზარში

დასაქმებულთათვის გადასახადი მხოლოდ 3 ლარია და ამაში შედის დასუფთავებაც, დაცვა, დღის განათება, სასწორებით უზრუნველყოფა, წყალი და მინდა ვთქვა, რომ 3 ლარად ამდენი რამის მოგვარება თითქმის წარმოუდგენელიც კია და ამდენად, ეს არც ისე დიდ გადასახადად შეიძლება ჩაითვალოს. კიდევ გავიმეორებ მრავალჯერ ნათქვამს, რომ შიგნით გაცილებით უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე გარეთ ვაჭრობისას. ამასთან, ჩვენ ვითვალისწინებთ სოციალურ ფონს და, აქედან გამომდინარე, თითოეულ მოვაჭრეს ბაზარში იმაზე მეტი ადგილი აქვს დაკავებული, ვიდრე გათვალისწინებული - 90 სანტიმეტრია. წლებია, გარემოვაჭრეთა პრობლემა არსებობს და ჯერჯერობით მოუგვარებელია მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა კომპეტენტურ სტრუქტურას მივმართეთ დახმარების თხოვნით, რომელიც კანონის ფარგლებს არ სცდება. ბაზარი ხალხმრავალი ობიექტია, აქ მოსახლეობის თითქმის 80% დადის და თითქმის ყოველი მეორე-მესამე დასაქმებულია, ამიტომ ვფიქრობ, ჩვენი ხმაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ვიმედოვნებ, მალე მოგვარდება ეს საკითხი და ველოდები. იკავებთ კომისიის შექმნა, სადაც ჩვენი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა გექვსება. ვიმედოვნებ, კომისია კომპეტენტური იქნება და დადებს კანონიერ შეფასებას. რამდენიმე დღის წინ, საქართველოს პრემიერმინისტრმა გააკეთა განცხადება ბიზნესზე ხელფონური ბარიერების მოხსნის შესახებ და ყველა მერს და გამგებელს მოუწოდა ბიზნესს ყველანაირად შეუწყონ ხელი. მივესალმებით პრემიერმინისტრის ამ განცხადებას. ჩვენ წლებია, ხელფონურად შექმნილ ბარიერზე ვლაპარაკობთ, მაგრამ



პრემიერის ამ განცხადების შემდეგ მაქსიმალურად ვიტოვებ იმედს, რომ ამ ჩვენს ირგვლივ არსებულ ბარიერს მომავალში კანონი გააძლიერებს. ეს არ არის მხოლოდ ჩემი პრობლემა, ეს გახლავთ აქ დასაქმებული უამრავი მოქალაქის პრობლემა. ჩემი მოთხოვნა კანონიერია და არანაირად სცდება მის ფარგლებს. თავის დროზე საპატრულო პოლიციას დავეალო გარემოვაჭრეთა კონტროლი, მაგრამ ეს დაგალება შეუსრულებელი დარჩა. მე კარგად მაქვს გათავისებული კერძო ობიექტზე პასუხისმგებლობა, თუმცა, რადგან თვითმმართველობის ასპროცენტური წილის მფლობელი შპს მიკეტავს გზებს და გარემოვაჭრობას ახორციელებს ჩემს ირგვლივ, ვერანაირად ვერ ვიქნები აქ უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი, ამიტომაც ვფიქრობთ არაერთხელ დაეაქისრე თვითმმართველობას პასუხისმგებლობა. ამ ყველაფრის მოსაგვარებლად კანონის გარდა აუცილებლად საჭიროა გონივრული გა-

დაწვეტილებების მიღება“. არსებული პრობლემების მიუხედავად, დღეს ბევრი ოჯახისთვის საარსებო წყაროს სწორედ გარემოვაჭრობით მოპოვებული თანხა წარმოადგენს. „ძალიან ცუდი მდგომარეობაა, ვაჭრობა არ არის, ხალხს ფული არა აქვს. ჩემი ვაჭრობით - პურის გაყიდვით ვცხოვრობთ მთელი ოჯახი, ადრე თუ 10 პურს ვყიდდი, ახლა ორს თუ ვაყვიდი. სიცივეში გვიწევს ყოფნა მთელი დღის განმავლობაში, გაუსაძლისი სიტუაციაა“- ამბობს გარემოვაჭრე ფუნთუშა ხელაია.

როგორც საქართველოს პარლამენტის უკვე ყოფილი ვიცე სპიკერი, ზურაბ აბაშიძე ამბობს, გარემოვაჭრეთა პრობლემა მუნიციპალური პრობლემაა, რომელიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ და თითოეული ქალაქის მერიამ უნდა გადაწყვიტოს: „გარემოვაჭრობის პრობლემა საქართველოში დღემდე პრობლემად რჩება. ეს ადამიანები თვითდასაქმებულები არიან. რომ ადგილს იკავებენ საკმარისად ერთი ხელის მოსმით აუკრძალო, ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. ვფიქრობ, ამ საკითხის მოწესრიგება სახელმწიფოს ვალდებულებაა. რაღაც ფორმა უნდა შემუშავდეს იმისათვის, რომ ეს ხალხი ქუჩებში არ იყოს გამოფენილი. ესთეტიკურ მხარეს, რომ თავი დავანებოთ, გარემოვაჭრობა სასურველი არ არის ეკოლოგიური თვალსაზრისით და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება“. ჯერჯერობით, ნამდვილად ძნელია იმის თქმა, როგორ მოგვარდება ეს საკითხი, რომელიც ნამდვილი „აქილევსის ქუსლი“ აღმოჩნდა ყველა ხელისუფლებისთვის. ამჟამად, რომ ვითარება საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით იმ ხალხისთვის, რომლებსაც საკუთარ თავზე უწევთ ამ ყველაფრის ატანა. ამიტომაც, საჭიროა, ხელისუფლების მხრიდან მცირე დრო მაინც დაეთმოს ამ პრობლემის მოგვარებას და მოხდეს გარემოვაჭრეთა მდგომარეობის შემსუბუქება.

რა ბედი ელის შეჩერებულ მშენებლობებს?

ინოვაციური
ფოტო

ფოტოში წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში 12 ობიექტის მშენებლობა დაიწყო. ამათგან საკათედრო ტაძრის, პოლიციის შენობის, რაგბის მოედნისა და თეატრის მშენებლობა ახალი ხელისუფლების პერიოდში დასრულდა, მაგრამ დანარჩენების მშენებლობა დროში იწვლება და მათი მომავალიც კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.

ფოტო იმ ქალაქების რიგს მიეკუთვნება, სადაც უსახური შენობები და დაუმთავრებელი მშენებლობები მრავლადია. აღნიშნული პრობლემა წლების განმავლობაში ვერა და ვერ მოგვარდა. თვითმმართველობის მესვეურების ხელში არსებული ბერკეტების გამოყენების მიუხედავად, ხშირად, რიგი მიზეზების გამო, საქმე წინ ვერ მიდის და ქალაქის იერ-სახის გალამაზებას არ დააღვასა საშუალები. მესაკუთრის იძულება - დაამთავროს დაწყებული საქმე - ხშირად ჭიანჭურდება, ზოგი შენობა კი სხვადასხვა სტრუქტურის ბალანსზეა და მისი ხელის ხლება მხოლოდ მათი პრეროგატივაა.

დღეს გვიჩნდა ჩვენი საგაზეთო სტატია ასეთ შენობებს დაევთმობთ. ჯერ კიდევ ყოფილი

ხელისუფლების მოთხოვნით კინო-თეატრი უნდა განთავსებულიყო რუსთაველის რკალზე დაგეგმარებულ „სმარტის“ სავაჭრო ცენტრში, რომლის მშენებლობაც კომპანია „ვისოლმა“ 2010 წელს დაიწყო, თუმცა, 2012 წლის დასაწყისში შეჩერდა და დღემდე ნახევრადამთავრებულ მდგომარეობაშია. „სმარტის“ მშენებლობა საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით განახლდა, მაგრამ ისევ შეწყდა.

როგორც ადგილობრივი ახალგაზრდები ამბობენ, დიდი სურვილი აქვთ, ქალაქში იარსებოს კინო-თეატრმა, სადაც თანატოლებთან ურთიერთობის, დროის სასარგებლოდ და სასიამოვნოდ გატარების საშუალება ექნებათ: „19 წლის ვარ და წლებია, სურვილი მაქვს, ჩვენს ქალაქში არსებობდეს კინო-თეატრი, სადაც ახალგაზრდები შეიძლება შევსვდეთ, კინოპრემიერების ნახვას და მსოფლიო თუ ქართულ კინოცხოვრებაზე ფიქსის აყოლას. იმედი მაქვს, ეს ოცნება როდესმე ამისრულდება და ფოტოში კინო-თეატრი იარსებებს“- აღნიშნავს ფოთელი დავით თოფურია.

კინო-თეატრით შეჩერებულია ფოტის აეროპორტის მშენებლობაც, რომელიც, თავის დროზე, პროექტის გარეშე დაიწყო, მალევე შეჩერდა და გაგრძელება თუ არა დღემდე

გაურკვეველია. ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი აეროპორტის მშენებლობის შესახებ განცხადება ჯერ კიდევ 2009 წელს გააკეთა. სამუშაოების დასრულების დროდ 2011 წელი დასახელდა, გადაწყვილი ვადებით კი ობიექტის მშენებლობა 2013 წელს უნდა დასრულებულიყო. ყველა დასახლებული ვადა კარგა ხანია დამთავრდა, მაგრამ აეროპორტის ბედი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაურკვეველია.

სავალალო მდგომარეობაშია ყოფილი „კვბ“-ს შენობა, რომელიც კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. სამინისტროს რამდენჯერმე წერილობით მიმართეს შენობის გადარჩენის თაობაზე, მაგრამ დღემდე არაფერი შეცვლილა.

ამ დრომდე გაურკვეველია, რა ბედი ეწვეა წმინდა გიორგის ქუჩაზე მდებარე ყოფილი პიდრომელიორაციული ტექნიკუმის შენობას. წლების წინ საუბრობდნენ, რომ აქ უნდა განთავსებულიყო თვითმმართველობის ყველა სამსახური, თუმცა ეს პროექტი ძალიან ძვირადღირებული აღმოჩნდა და ვერ განხორციელდა, შენობა კი ავარიულ მდომარეობაშია და ყოველდღე ნაღვურდუ-



კახტანს დარცმულია: „არ ვიხლოდი ამ თავხედური პრეზიდენტული გადაწყვეტილების შესახებ,,

ფოთში საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება იწყება

დასაწყისი 3-ბა.

ხილვა შეუძლებელი გახდა. გადაკეტილია, ასევე, ტაძართან მისასვლელი პირდაპირი გზაც.

საზღვაო სადგურის დანგრევას საზოგადოებრივი დარბაზის გარდა პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ეკა ბესელიაც გამოეხმაურა. როგორც ამბობს, განცვიფრებული დარჩა, როდესაც გაეცნო წინა მოწვევის საკრებულოს 2014 წლის 11 თებერვლის ბრძანებას, ფოთის საზღვაო სადგურის დემონტაჟზე ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით: „უმიძიებს ვუწოდებდი ამ გადაწყვეტილებას იმიტომ, რომ ვიცი ფოთელების დამოკიდებულება ქალაქის საზღვაო სადგურისადმი“.

მაჟორიტარის თქმითვე, აუცილებელია საკითხის რაციონალურად გადაწყვეტა, რის აუცილებელ წინაპირობად თვითმმართველობასა და პორტის ადმინისტრაციას შორის ღია დიალოგი უნდა ფოთში თითქმის ყველა უბანში, ყოველ მეორე საცხოვრებელ კორპუსში, ეზოსა თუ ქუჩაში საკანალიზაციო-საკომუნიკაციო ქსელები დაძველებული და მოუწესრიგებელია. ამდენად, მოსახლეობა შეწუხებულია ქალაქში არსებული აუტანელი სუნი. ეს პრობლემა განსაკუთრებით თავს იჩენს წვიმის დროს

და მოგეხსენებათ, ფოთში ხშირად წვიმს და ხშირად აწუხებს მოსახლეობას აღნიშნული სიტუაცია. როგორც ცნობილია, არაუგვიანეს 2 წლისა, ფოთელებს ერთით ნაკლები პრობლემა ექნება, რადგან ფოთში სექტემბრიდან იწყება საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება. როგორც ცნობილია, არსებული პროექტით საქართველოს 7 ქალაქში იგეგმება საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება, რისთვისაც გამოყოფილია ნახევარი მილიარდი ლარი. პროექტი ხორციელდება აზიის განვითარების ფონდის, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით. როგორც ქალაქის თვითმმართველობაში გვითხრეს: „ 2015- 2016 წლებში უნდა განხორციელდეს საკანალიზაციო სამუშაოები პროექტის პირველი ეტაპისთვის გამოყოფილი 26 მილიონი. 2016 წელს კი დანარჩენი 40 მილიონის ათვისება უნდა მოხდეს. 2016 წლისთვის უნდა დამთავრდეს კანალიზაციის სისტემის მოგვარება“. ასევე გავიგეთ, რომ დაპროექტებულია დასრულებულია, მაგრამ მიმდინარეობს პროექტის ექსპერტიზა, დაზუსტება და გარკვეული კორექტირებები შედის პროექტში.

ამჯერად, მთელი ქალაქი იქსელდება, ანუ გადაითხრება (მხოლოდ აღმაშენებელი და რკალი რჩება ხელშეუხებელი), რაც გარკვეულწილად, პრობლემასაც შექმნის, მაგრამ ოღონდ ქალაქი სუნმა აღარ შეაწუხოს და ფოთელები ამასაც ჩვეული მოთმინებით აიტანენ.

კა უთვლია

ფოთი

ფოთში თითქმის ყველა უბანში,ყოველ მეორე საცხოვრებელ კორპუსში, ეზოსა თუ ქუჩაში საკანალიზაციო-საკომუნიკაციო ქსელები დაძველებული და მოუწესრიგებელია. ამდენად, მოსახლეობა შეწუხებულია არსებული აუტანელი სუნი. ეს პრობლემა განსაკუთრებით თავს იჩენს წვიმის დროს და მოგეხსენებათ, ფოთში ხშირად წვიმს და ხშირად აწუხებს მოსახლეობას აღნიშნული სიტუაცია. როგორც ცნობილია, არაუგვიანეს 2 წლისა, ფოთელებს ერთით ნაკლები პრობლემა ექნება, რადგან ფოთში სექტემბრიდან იწყება საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება. როგორც ცნობილია, არსებული პროექტით საქართველოს 7 ქალაქში იგეგმება საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება, რისთვისაც გამოყოფილია ნახევარი მილიარდი ლარი. პროექტი ხორციელდება აზიის განვითარების ფონდის, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით. როგორც ქალაქის თვითმმართველობაში გვითხრეს: „ 2015- 2016 წლებში უნდა განხორციელდეს საკანალიზაციო სამუშაოები პროექტის პირველი ეტაპისთვის გამოყოფილი 26 მილიონი. 2016 წელს კი დანარჩენი 40 მილიონის ათვისება უნდა მოხდეს. 2016 წლისთვის უნდა დამთავრდეს კანალიზაციის სისტემის მოგვარება“. ასევე გავიგეთ, რომ დაპროექტებულია დასრულებულია, მაგრამ მიმდინარეობს პროექტის ექსპერტიზა, დაზუსტება და გარკვეული კორექტირებები შედის პროექტში.

ამჯერად, მთელი ქალაქი იქსელდება, ანუ გადაითხრება (მხოლოდ აღმაშენებელი და რკალი რჩება ხელშეუხებელი), რაც გარკვეულწილად, პრობლემასაც შექმნის, მაგრამ ოღონდ ქალაქი სუნმა აღარ შეაწუხოს და ფოთელები ამასაც ჩვეული მოთმინებით აიტანენ.



რა გედი ელის შეჩერებულ მშენებლობებს?

დასაწყისი 4-ბა.

ბა. მართალია, ზოგი უსახური შენობის დემონტაჟი განხორციელდა, მაგრამ ქალაქის იერ-სახეზე ამას არანაირი გავლენა არ მოუხდენია, რადგან მათ ადგილას ახლა ცარიელი შემოღობილი სივრცეა. ერთ-ერთი ცხრა აბრილის ხეივანზე მდებარე ყოფილი საზღვაო ბანკის ყოფილივე შენობაა. შენობა კომპანია „რაკიას“ ბალანსზეა და რამდენიმე წელი უფუნქციოდ იდგა. ფოთის ყოფილი მერის, ვახტანგ ლემონჯავას პერიოდში შენობას რამდენჯერმე დაუპირეს სახის შეცვლა, მაგრამ მაშინ თვითმმართველობასა და მესაკუთრეს შორის შეთანხმება ვერ შედგა. მერიის ზედამხედველობის სამსახურმა ორჯერ დააკისრა ჯარიმა „რაკიას“ ამ შენობის გამო. კომპანიამ ჯარიმების გადახდის შემდეგ შენობის დემონტაჟის გადაწყვეტილება მიიღო. გარდა ზემოხსენებულისა, შეჩერებულ მშენებლობათა სიაში მოხვდა ყოფილი სასტუმრო „კოლხეთის“ ტერიტორია, რომელიც დიდი ხნის წინ გასუფთავდა, რადგან მის ადგილას სასტუმროს „რედისონის“ მშენებლობა იგეგმებოდა. ფოთში „რედისონის“ მშენებლობის შესახებ თავდაპირველად ქალაქის ყოფილმა მერმა, ვახტანგ ლემონჯავამ 2010 წელს განაცხადა. შენობის მფლობელი, სერგო აბაშიძე კი, პრეზიდენტის მიერ მოწოდებულ და მხარდაჭერილ პროექტზე საუბრობდა. მესაკუთრე სამუშაოების დასრულების დროდ 2013 წელს ასახელებდა, მაგრამ ახლა უკვე 2015 წელია და არათუ შენობის მშენებლობის დასრულება, ბალაგერის ჩასხმაც არ დაწყებულა, რადგან 2011 წელს მესაკუთრეს ფინანსური პრობლემები შეექმნა, ტერიტორიას კი ვადალა დაელო.

და სამუშაოების დასრულება და ამოწურა ინვესტორს მშენებლობის ნებართვის გადავწერტ ვერილს, ვარკვეთ სიტუაციას და თუ კერძო ინვესტორს არ აქვს საშუალება, ჩვენ ვერ მოვთხოვთ მას, რომ აუცილებლად დაასრულოს, რადგან ვითვალისწინებთ მდგომარეობას და ველოდებით რეაგირებას ჩვენს წერილზე, რათა რაიმე მოიფიქრონ არსებული სიტუაციის შესაცვლელად, მაგრამ თუ მშენებლობა ისე დაარღიეს ვადები და არანაირი რეაგირება არ მოახდინეს, ამ შემთხვევაში არსებობს შესაბამისი საჯარიმო სანქციები“.

ქალაქში შეჩერებული მშენებლობები სასწრაფოდ და აუცილებლად მოსაგვარებელ მრავალ პრობლემიდან ერთ-ერთია, მაგრამ ეს საკითხი დროში გაწვლილია, რადგან ითხოვს რეაგირებასაც და მოქმედებასაც როგორც ხელისუფლების, ასევე კერძო ინვესტორების მხრიდან. როგორ გაგრძელდება ფოთში დაგეგმილ ობიექტთა მშენებლობა და რა ბედი ელის ნახევრადშენებულ შენობებს, ამას დრო გვიჩვენებს და იმედია კვლავ წლები არ მოგვიწევს ფოთელებს ღლინი.

ფოთში პენსიონერებზე ვაუჩერების გასემა განახლდება

ადგილობრივმა ხელისუფლებამ პენსიონერებზე სამედიცინო ვაუჩერების გაცემა გააგრძელა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ვაუჩერები გათვალისწინებულია მხოლოდ სოციალურად დაუცველ, მარტოხელა და ჯანმრთელობის მხრივ მძიმე მდგომარეობის მქონე პენსიონერებისათვის. მერიის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დეველოპმენტის სამსახურის უფროსის მაია მაკალათიას განმარტებით: „გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან მცირეა თანხა ბიუჯეტში და შეიძლება ითქვას, პენსიონერები მრავლად არიან, ჩავთვალეთ, რომ ვაუჩერები იმ პენსიონერებზე უნდა იყოს გათვლილი, რომელიც სოციალურად ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, დაავადებაც ძალიან კრიტიკული აქვს და ეს მცირედი 70 ლარიანი ვაუჩერი მისთვის იყოს ასე თუ ისე იმისთვის. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ გავთვლით ვაუჩერს ყველა პენსიონერზე, რომელთა ოჯახის წევრებს შემოსავლები აქვთ. შეუძლებელია ეს გაკეთდეს იმ თანხით, რაც ბიუჯეტიდანაა გამოყოფილი. ფოთში ბევრი გვეყავს სოციალურად დაუცველი, მარტოხელა მოხუცი, ძალიან მძიმე ავადმყოფი, აქედან გამომდინარე, ჩავთვალეთ, რომ აქცენტი უნდა გაგვეკეთებინა მხოლოდ მათზე. ზოგს არც შემოსავლები აქვს და არც შვილი ეყავს, შესაბამისად არც დამფინანსებელი ეყავს და მათთვის 70 ლარი ერთგვარი დახმარებაა. მოქალაქეები თვლიან, რომ თუ გააჩნიათ ფორმა ასი, უპრობლემოდ შეუძლიათ ვაუჩერის აღება. მართალია, ფორმა ასი-ის აღება ყველას შეუძლია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ გაქვს ფორმა ასი, გვეკუთვნის ვაუჩერი. ვაუჩერთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტების მიხედვით განცხადებების მიღება ახლაც მიმდინარეობს მერიაში და ეს განცხადებები სპეციალურ კომისიაზე შემდეგ გაიცხრობება, რომელიც დოკუმენტურად იქნება დადგენილი არის თუ არა სოციალურად მძიმე ყოფაში და ასევე აქვს თუ არა მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამის მიხედვით გაცივმა ვაუჩერებიც“.

როგორც მაკალათიამ გვითხრა, ვაუჩერების გაცემა მარტის დასაწყისიდან დაიწყო.



მიჯაჭვული ახალგაზრდა

თათია ლოლა ფოთი

ამ საგაზეთო სტატიის მომზადება და გამოქვეყნება ახალგაზრდა ადამიანის დახმარებაა, რომელიც ტრაგიკული შემთხვევის გამო საწოლს მიეჯახვა. ნუ მივცემთ მას უფლებას იფიქროს, რომ განწირულია. მას მხოლოდ იმედი დარჩა და ნუ დაუუკარგავთ ამ იმედსაც.

საქმე იმაშია, რომ 2012 წლის 25 დეკემბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სამუშაო ადგილზე, კერძოდ, შპს „ბარვილ ჯორჯია“-ს საკონტინერო ტერმინალში მოხდა უბედური შემთხვევა - სპეციალური საკონტინერო ტვირთამწე მქანინში „ფანტუცი“ დაეტაკა ვალერი ჯღენტს, მოიყოლა საბურავში, რის შედეგადაც ახალგაზრდამ მიიღო მძიმე ტრამვა და დაუკონტროლებელი გადაიყვანეს ფოთის საავადმყოფოში. ტრამვის შედეგად მან მიიღო მენჯის ძვლის და ქვედა კიდურების მრავლობითი მოტეხილობა, განუვითარდა კომატოზური მდგომარეობა. ახალგაზრდა კაცი ვერ ამოდრავებს კიდურებს და სრულად დაკარგული აქვს შრომისუნარიანობა.

შეგახსენებთ, რომ 2013 წელს „ბარვილ ჯორჯიას“ 200-მდე დასაქმებული გაიფიცა, რომლებიც ითხოვდნენ ხელფასების გაზრდას და შრომითი ნორმებისა და უსაფრთხოების დაცვას. გაფიცვის დღეებში ჩვენთან საუბარში გაფიცულები აცხადებდნენ, რომ ისინი უსაფრთხოების ნორმის დაცვის გარეშე

მუშაობდნენ, ტექნიკა არ ქონდათ გამართული და ტექნიკის გამართულად მუშაობაზე პასუხისმგებლობა ტერმინალის მთავარ მენეჯერს ევალებოდა, სწორედ გაფიცვის დღეებში მის განთავისუფლებასაც მოითხოვდნენ.

ქღენტების ოჯახმა გადაწყვიტა შვილისთვის მიყენებული ზიანისთვის მატერიალური ანაზღაურება მოეთხოვა კომპანიისგან, მაგრამ როგორც გვითხრეს, კომპანიისგან უარი მიიღეს დახმარების თაობაზე. ამის შემდეგ მათ აიყვანეს ადვოკატი და გადაწყვიტეს, სამართლებრივი გზით ერთდროულად ებრძოლათ კომპენსაციის მისაღებად და სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. დავის საგანი კი გახლდათ შრომითი მოვალეობის შესრულებისას, მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული (მათ შორის მატერიალური) ზიანის ანაზღაურება. ადვოკატ მარგალიტა არველაძის განცხადებით, უბედურების შემთხვევის დროს ვალერის გრაფიკით არ უწყვედა სამსახურში გამოცხადება, მაგრამ 2012 წლის 24 დეკემბერს მას მობილური ტელეფონით დაუკავშირდა გამშვები პუნქტის ცვლის ოპერატორი და სთხოვა სხვა მუშაკის ნაცვლად სამსახურში გამოცხადება, რომელიც დასტურდება დაზარალებულის სატელეფონო ამონაწერითაც. სატელეფონო ზარის შემდეგ ქღენტი გამოცხადდა სამსახურში და შეუდგა მოვალეობრივად იგივე სამუშაოს შესრულებას, რაც მანამდე ევალებოდა (ვის

მაგივრადაც იყო გამოძახებული, ეკისრებოდა იგივე მოვალეობა). სწორედ აღნიშნული მოვალეობის შესრულების პერიოდში მოხდა უბედური შემთხვევა. შედეგად, ვალერი ქღენტი ჩავარდა კომატოზურ მდგომარეობაში, ვერ ამოდრავებს ქვედა და ზედა კიდურებს. ადვოკატის თქმითვე, ვინაიდან მოპასუხემ არ მიიღო და არ ღებულა მონაწილეობა მიყენებული ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით: „იძულებული გაეხდით წინამდებარე სარჩელით მიგვემართა სასამართლოსათვის, რადგან მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, პირიქით გაუარესდა. იგი საჭიროებს არაერთ ოპერაციას და სარეაბილიტაციო მკურნალობას, ხოლო ოჯახი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაშია“. ამასთანავე, როგორც ადვოკატი ამბობს, აღსანიშნავია ისიც, რომ ტერიტორიაზე, სადაც „ფანტუცი“ მძღოლი ასრულებდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, შემოსული იყო რამდენიმე გადამტვირთავი მანქანა, რაც აშკარა ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ხელსაყრელ და უსაფრთხო პირობებში მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

ყოველივე ზემო აღნიშნული ფაქტების შემდეგ, ვალერი ქღენტი, მართალია, ფოთის საავადმყოფოში არ იმყოფებოდა უკონო მდგომარეობაში, მაგრამ გასინჯვის შედეგად აღმოჩნდა, რომ მისი ურთულესი მდგომარეობა საჭიროებდა შპს „იმერეთის“ რეგიონულ კლინიკურ საავადმყოფოში გადაყვანას, შემდეგ კი თბილისში ერთ-ერთმა მაღალკვალიფიციურმა კლინიკამ ჩაუტარა რამდენიმე ოპერაცია, მაგრამ მისი მდგომარეობა კვლავ მძიმეა, დაენიშნა სარეაბილიტაციო ხანგრძლივი კურსები, რის ჩატარების შემდეგაც არსებობს იმედი, რომ ახალგაზრდა დაუბრუნდეს ჩვეულ მდგომარეობას. ამ დასკვნას ამყარებს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც გასცა შპს „იმერეთის“ რეგიონალურმა კლინიკურმა საავადმყოფომ. ყველაფერი დაკავშირებულია კოლოსალურ თანხებთან, რაც ვალერიის ოჯახს არ გააჩნია. როგორც ვალერი ქღენტის მამა გვიყვება, სასამართლოს მოგების შემთხვევაში, შესაძლებელია მისი შვილი დადგეს ფეხზე, რადგან ოჯახი ითხოვს ზიანის ანაზღაურებას. მურთაზ ქღენტის თქმით: „ჩემი შვილი დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია, რამდენიმე ოპერაცია გაუკეთდა. 6 თვე ვიყავით თბილისში მკურნალობის ქვეშ. აქამდე რაც გავუკეთეთ, ყველაფერი უცნობი ადამიანების, ახლობლების, მეზობლების და ვალერიის თანამშრომლების დახმარებით შევძელით. ახლა უკვე



ნას, შემდეგ კი თბილისში ერთ-ერთმა მაღალკვალიფიციურმა კლინიკამ ჩაუტარა რამდენიმე ოპერაცია, მაგრამ მისი მდგომარეობა კვლავ მძიმეა, დაენიშნა სარეაბილიტაციო ხანგრძლივი კურსები, რის ჩატარების შემდეგაც არსებობს იმედი, რომ ახალგაზრდა დაუბრუნდეს ჩვეულ მდგომარეობას. ამ დასკვნას ამყარებს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც გასცა შპს „იმერეთის“ რეგიონალურმა კლინიკურმა საავადმყოფომ. ყველაფერი დაკავშირებულია კოლოსალურ თანხებთან, რაც ვალერიის ოჯახს არ გააჩნია. როგორც ვალერი ქღენტის მამა გვიყვება, სასამართლოს მოგების შემთხვევაში, შესაძლებელია მისი შვილი დადგეს ფეხზე, რადგან ოჯახი ითხოვს ზიანის ანაზღაურებას. მურთაზ ქღენტის თქმით: „ჩემი შვილი დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია, რამდენიმე ოპერაცია გაუკეთდა. 6 თვე ვიყავით თბილისში მკურნალობის ქვეშ. აქამდე რაც გავუკეთეთ, ყველაფერი უცნობი ადამიანების, ახლობლების, მეზობლების და ვალერიის თანამშრომლების დახმარებით შევძელით. ახლა უკვე

არაფრის საშუალება არ გვაქვს. ბინაც ჩავირავებული გვაქვს. როგორც სპეციალისტები მეუბნებიან, მას სჭირდება სახდვარგარეთ ოპერაცია, რომლის შემდეგაც შეძლებს წამოდგომას. ამისთვის კი არანაირი საშუალება არ გავაჩნია“. როგორც მურთაზ ქღენტი ამბობს, თავის დროზე დახმარება რომ გავწიოთ საწარმოს მესვეურებს, დღეს ასე არ გართულდებოდა მისი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

პირველი სასამართლო სხდომა ამ საქმესთან დაკავშირებით უკვე გაიმართა. სისხლის სამართლის საქმეც აღძრულია ამასთან დაკავშირებით. ჩვენ, რა თქმა უნდა, თვალყურს ვადევნებთ ამ სხდომებს, რათა მკითხველს გავაცნოთ საბოლოო შედეგი.

დახმარების მსურველებს შეუძლიათ დაეხმარონ ახალგაზრდა კაცს ამ ანგარიშზე ფულის ჩარიცხვით. თქვენი თითოეული ზარი მისთვის მნიშვნელოვანია:

ლიბერთი ბანკი 780711171259428000

თეატრალური ფესტივალი

ფოთში

აკა უთვალისა ფოთი

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში წარმოდგინეს სპექტაკლი, მუსიკალური კომედია ბაროტო ჯუხუბე და ბელზარიო რანდონეს „ქერიგთა ნუგაშისმცემელი“, რომლის დამდგმელი რეჟისორიც გახლდათ ცნობილი რეჟისორი რამაზ იოსელიანი. ამ სპექტაკლის პრემიერა ფოთის თეატრში სამი წლის წინ შედგა. როგორც რამაზ იოსელიანმა აღნიშნა, ეს სპექტაკლი მაყურებლის მოთხოვნით აღადგინეს. მან ისაუბრა სამომავლო გეგმებზეც და აღნიშნა, რომ უახლოეს ხანებში აღდგენილი იქნება რეჟისორის მიერ წინა წლებში დადგმული ყველა სპექტაკლი და წარმოდგენილი იქნება ფო-

თელი მაყურებლისათვის. ფოთის თეატრის სიახლეებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა თეატრის დირექტორმა თენგიზ ხუხიაძემ: „ჩამოსულია ავსტრიელი რეჟისორი რეინჰარდ აუერი. დაიწყეთ მუშაობა ბერტოლდ ბრეხტის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პიესაზე „დედა კურაჟი და მისი შვილები“. რომლის პრემიერასაც ვგეგმავთ 27 მარტს - თეატრის საერთაშორისო დღეს. რეალურად გვინდა, რომ იყოს მსოფლიო პრემიერა. გვყავს 4 ახალი მსახიობი - რამაზ იოსელიანი, მაია ჩარბოდაშვილი, ნინო გოშაძე, ტატო მაკალათია. ჩვენ ფოთელ მაყურებლებს კვირაში ერთხელ შევთავაზებთ სპექტაკლს. ასევე აღდგება ყველა სპექტაკლი, რომელიც იდგმებოდა პატარა თეატრში. ამას სჭირდება დრო და ენერჯია, სამუშაო გრაფიკი უკვე გაწერილია. ასევე დაგეგმილია ივლის-

ში ფოთში ჩატარდეს თეატრალური ფესტივალი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართული თეატრები, რომლებიც თავიანთ საუკეთესო სპექტაკლებს წარმოადგენენ, ასევე ჩვენი მეგობარი თეატრები საზღვარგარეთიდან, ვფიქრობ, მასშტაბური ფესტივალი გამოგვივა, რაც ხელს შეუწყობს ქალაქში კულტურული დონის აწევას. ასევე გვაქვს გაცვლითი პროგრამა შემუშავებული პოლონეთის თეატრთან, ჩვენი რეჟისორები დადგამენ სპექტაკლებს პოლონეთის თეატრში და პოლონელი რეჟისორები ჩვენ თეატრში დადგამენ სპექტაკლებს. ჩვენ უახლოეს ხანში გავაფორმებთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს პოლონურ თეატრთან, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ რეჟისორების გაცვლას, არამედ მსახიობების გაცვლასაც, ანუ ერთობლივი პროდუქციის გაკეთება იგეგმება, რაც ხელს



შეუწყობს ამ ორი თეატრის დაახლოებას, მსახიობების კიდევ უფრო გაზრდას პროფესიული თვალსაზრისით. დიდი ხანია, ვფიქრობთ, გავზარდეთ და დაფინანსებას შესაბამისად, ხელი შევუწყოთ, მათ მიიღონ განათლება თეატრალურ უნივერსიტეტში, ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა მიზნობრივი ჯგუფი. კონკრეტულ სიტუაციაში ავირჩიეთ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, სადაც ჩაირიცხა 4 ფოთელი აბიტურიენტი, რომელთა განათლების დაფინანსებას ჩვენ სრულად ვუზრუნველყოფთ. როგორც კი ისინი დამთავრებენ უნივერსიტეტს, ჩვენ მათ ვთავაზობთ გამზადებულ კონტრაქტს 3-დან 5 წლამდე“.

აში ავირჩიეთ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, სადაც ჩაირიცხა 4 ფოთელი აბიტურიენტი, რომელთა განათლების დაფინანსებას ჩვენ სრულად ვუზრუნველყოფთ. როგორც კი ისინი დამთავრებენ უნივერსიტეტს, ჩვენ მათ ვთავაზობთ გამზადებულ კონტრაქტს 3-დან 5 წლამდე“.

ეს სავაჭრო

არ გადარჩაოთ ყავის ნალექი - ჩვენ მისი გამოყენების 15 საოცარ ხერხს განსავლით



როგორც კი ყავის სმას მოვრჩებით, ნალექს, ბუნებრივია, ვღვრი. არადა, ამის გაკეთება არ ღირს - ყავას საოცრებების მოხდენა შეუძლია. ყავის ნალექი ოჯახში ნამდვილი განდი ყოფილა. ეს ხერხები ამას ადასტურებს. 1. ცხიმოვანი თმის რეცეპტი თუ თქვენი თმა სწრაფად ხდება დასაბანი, თმაში ყავის ნალექი შეიზილეთ და დაიბანეთ. სიფაფუკეს და სისუფთავეს უფრო დიდხანს შეინარჩუნებს.

2. ტანის სკრაბი ყავა ნებისმიერ ღრუბელზე უკეთ აცლის სხეულს კანის მკვდარ უჯრედებს.

3. სახის სკრაბი ყავის სკრაბი სახეს კარგად წმენდს, თან შესანიშნავ გამოახალგაზრდაველ მასაჟსაც აკეთებს.

4. არავითარი მუქი წერები თვალის გარშემო მუქი წერები სწრაფად გაეიქრება, თუ ამ

პრობლემურ უბანს ყავის ნალექით დაიზილათ. კოფეინი დალილი კანის მატონიზირებელი საშუალებაა, აუზღობესებს სისხლის მიმოქცევას.

5. ნიორი დამარცხებელია სადილის მომზადების შემდეგ ხელეზე ნიორისა და სხვა სანელებლების სუნი აღარ აგვით, თუ მათზე ყავის ნალექს გადაივლებთ.

6. აქრობს უსიამოვნო სუნს ფეხსაცმელებიდან უსიამოვნო სუნის გასაქრობად საკმარისია მათში ცოტა ხნით ყავის ნალექი მოათავსოთ, შემდეგ კი გადმოფერთხოთ.

7. აქრობს ნაკაწრებს ყავით ამოავსეთ ავეჯზე ნაკაწრები. მათი კვალი შეუმჩნეველი გახდება.

8. ჰაერის გამწმენდი ყავას ნებისმიერი უსიამოვნო სუნის შთანთქმა შეუძლია. გამოიყენეთ მისი ეს უნიკალური თვისება.

9. ტაფებისა და

ქვაბების სახეხი დაფუჭული ყავა გამოიყენეთ როგორც ჭურჭლის სახეხი საშუალება.

10. ქსოვილების შესაღები თეთრი სამზარეულოს ტილოები, რომლებსაც რთულად ამოსაყვანი ლაქები აქვს, შეგიძლიათ მუქად - შეღებოთ ყავის ნალექში გამოხარშოთ.


11. ძაღლებისთვის სასარგებლო თუ თქვენს ძაღლს რწყილები ჰყავს, შამპუნში ყავა გაურთეთ და ისე დაბანეთ.

12. კატის საწინააღმდეგო თუ კატები თქვენს ეზოს თავდაყირა აყენებენ, მიწა ყავით მონამეთ - კატები ამ სუნს ვერ იტანენ.

13. მცენარეებისთვის სასარგებლო ყავის ნალექი შესანიშნავი სასუქია ნებისმიერი მცენარისთვის.

14. ბაღის ჯადოქარი არა მხოლოდ სასუქი - ნიადაგის ყავის ნალექის მორწყვით ყვავილის ფოთლებსაც შეეცვლება ფერი.

15. ნატურალური პლასტილინი ყავით, ზღვის მარილით, ცხელი წყლით და ზეთით ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პლასტილინს დაამზადებთ ბავშვებისთვის.



ნუ გადარჩაოთ ჩაის ნახმარ პაკეტებს - განსავლით, რაში უნდა გამოიყენოთ ისინი

ერთხელ გამოყენებულ ჩაის პაკეტს, როგორც წესი ნავის ურნის გარდა სხვა ადგილი არ აქვს. სინამდვილეში ჩაის მუდმივი პაკეტები ბევრ რამეში გამოვლადგება. ნუ გადარჩაოთ მათ. მაცივარში შეინახეთ, რათა გაფუჭებისგან დაიცვათ და ყურადღებით წაიკითხოთ ეს რჩევები.



oTaxis mcnareebis mosavlelad
წამოადრულეთ ძველი პაკეტები კიდევ ერთხელ და მიღებული ხსნარით მორწყეთ თქვენი ოთახის მცენარეები. ამით მათ სოკოვანი ინფექციებისგან დაიცავთ. ბაღში დარგულ მცენარეებს კი მისი შიგთავსი დაუფარეთ ძირებში, მღრღნელები აღარ მიეკარებიან.

xaliCis gasawmendad
ხალჩის გასაწმენდად და სასიამოვნო სურნელის მისაცემად, ნესტიანი შიგთავსი ზედაპირზე მოაბნით და გაშრობა აცადეთ. შემდეგ მტვერსასრუტით აწმინდეთ.

saxlSi siasiamovno sunisTvis
თუ სახლში შინაური ცხოველი გყავთ, ჩაის პაკეტი ქვიშაში ჩააგდეთ, რომელიც ცხოველის ტუალეტისთვის გამოიყენება. რამდენიმე პაკეტი ნავის ვედროს ფსკერზე მოათავსეთ, ერთ პაკეტს კი მაცივრის თაროზე მიუჩინეთ ბინა. შეგიძლიათ პაერის გამწმენდიც დაამზადოთ: დააწვეთეთ ჩაის ნახმარ და გამშრალ პაკეტზე თქვენი საყვარელი არომატის მქონე ეთერზეთი და საუკეთესო გამწმენდს მიიღებთ როგორც სახლისთვის, ასევე ოფისისა თუ ავტომობილის სალონისთვის. ვიდაიდან პაკეტების უმრავლესობა ძაფზეა დამაგრებული, მათი ჩამოკიდებაც არ იქნება პრობლემა. ეს პაკეტები უსიამოვნო სუნს შთანთქავს და სასიამოვნო

aromats ayenebs, afrTxobs Tagvebs
თავგებს ჩაის სურნელი არ მოსწონთ. ამიტომ გამოიყენებულ ჩაის პაკეტები საკუჭნაოში, სარდაფში ან იმ ადგილებში დაყარეთ, სადაც თავგების შემოღწევის ალბათობაა. ხოლო თუ პაკეტებს პიტნის ნაყენით "გაამდიდრებთ", მაშინ თქვენს სახლს ჭიანჭველები და ობობებიც მიერიდებიან.

xelebidan saWmlis sunis mosacileblad
სადილის დამზადების შემდეგ ხელეზე პროდუქტების სუნი რჩება - ნიორის, ხახვის ან თევზის. ხელები ჩაის პაკეტით გაიწმინდეთ და შემდეგ დაიბანეთ. სუნი გაქრება.

arbilebs terfis kans
ჩაყარეთ ჩაის პაკეტები ცხელ წყალში და შემდეგ ფეხების აბაზანა მიიღეთ. არბილებს კანს, კოჟრებს და ქუსლებს.

arbilebs Tmas
მოადრულეთ სუსტი ჩაი და დაბანის შემდეგ თავზე გადაივლეთ.

fanjris gamwmendi siTxe
დაახლოებით პაკეტებს მღვდარე წყალი. მიღებული სითხე შესანიშნავად გაწმენდს ფანჯრებს, სარკეებს და ნებისმიერ მინის ზედაპირს. ხსნარით დამუშავების შემდეგ ზედაპირს სუფთა ჩვარი გადაუსვით და გააპრიალეთ.

პროსკოპი

merwyuli
შეეცადეთ ამ კვირაში იყოთ უფრო ყურადღებიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში თანამშრომლები დაგადაწაშალებენ ყველაზე მძიმე ცოდვაში. შუა კვირაში გეწვევით უამრავი იდეა და მოგიწევთ მათი დაყოფა რეალურად და ილუზიურად, რათა გაგიადვილდეთ მათი რეალიზაცია.

Tevzebi
კვირის დასაწყისი ძალიან კარგი პერიოდი იქნება ბიზნესისთვის. ის ასევე სავსე იქნება მრავალფეროვანი და ძალიან საინტერესო მოვლენებით. ყურადღება მიაქციეთ თქვენს გამონათქვამებს, რადგან ერთი არასწორი სიტყვა შესაძლოა შეოტრიადღეს თქვენს საპირისპიროდ.

verZi
ამ კვირაში მოგიტანთ შედეგს ის, რაშიც ამდენ ძალისმეხას დებდით და რისიც ძალიან გჯეროდათ, პრინციპში მთელი კვირა კარგი იქნება გადაწყვეტი ქმედებისთვის. ნებისმიერი წამოწყება და ახალი საქმე შეიძლება დასრულდეს წარმატებით. ყურადღება დაუთმეთ სახლსაც

kuro
ამ კვირაში მოვლენები ნიადაგრივით დაგატყდებათ თავს. ამიტომ შეძლებისდაგვარად დაგეგმეთ კვირა. მოეციდეთ ცვლილებებს სერიოზულად, თქვენ გელით ბევრი ახალი ამბავი, საქმიანი შეხვედრა, დაძაბული სიტუაცია სამსახურში. კვირის მეორე ნახევარში გელი შეხვედრები საქმიან პარტნიორებთან.

tyupebi
თქვენს ცხოვრებაში ცვლილებები უკვე დიდი ხანია მომწიფდა და უკვე დროა ისინი განხორციელდნენ. შესაძლებელია მოვლენები ისე აეწყოს, რომ შეძლოთ ახალი საქმის წამოწყება. ნუ დაამყარებთ დიდ იმედს სხვა ადამიანების დახმარებაზე, მაგრამ თუ დახმარებას შემოგთავაზებენ, უარს ნუ იტყვი.

kibo
ამ კვირაში შეეცადეთ მიერიდოთ უშედეგო შფოთვის და ნუ წამოიწყებთ ყველა საქმეს ერთდროულად. ყველაზე კარგი იქნება, თუ მოდუნდებით და წყნარად დაკავდებით თქვენი საქმით. კვირის მეორე ნახევარში გექნებათ ცვლილებები, რის გამოც დაგჭირდებათ კოლეგების დახმარება.

lomi
თქვენთვის დეგუბა ძალიან კარგი პერიოდი, ბევრი რამ გამოგივიდათ და ამიტომ ეს შანსი რაციონალურად უნდა გამოიყენოთ, მოიზიდეთ ახალი საქმიანი პარტნიორები. გამოიჩინეთ კონტაქტურობა და აქტიურობა, ეს საშუალებას მოგცემთ გაიმყაროთ მდგომარეობა და დაფიქრდეთ სასურველ პერსპექტივაზე.

qalwuli
დაინდეთ საკუთარი თავი, ნუ მოითხოვთ საკუთარი თავისგან ძალიან ბევრს. საკუთარი თავისგან უკმაყოფილების განცდა, ჩააქრობს სიხარულის განცდას, რომელსაც წარმატება მოგიტანთ. ეს კვირა იქნება დინამიური და წარმატებული ბევრ სფეროში. კვირის დასაწყისი კარგი დროა საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისთვის.

saswori
ამ კვირაში პროფესიული სფერო თქვენგან მოითხოვს დიდ ყურადღებას, იმისთვის რომ სიტუაციაზე კონტროლი შეინარჩუნოთ, გამოიყენეთ გონიერება და საქმის დროზე დაბრუნების უნარი. კვირის დასაწყისში შეეცადეთ გვერდი აუაროთ გარშემომყოფებთან ჩხუბს და გამოიჩინოთ სიამაყე.

morieli
ამ კვირაში თქვენ შეძლებთ გაერკვით არეულ-დარეულ საქმეებში და მიიყვანოთ ისინი ლოგიკურ დასასრულამდე, რის გამოც შეიძლება ფულადი ჯილდოს იმედიც კი გქონდეთ. კვირის ბოლოს ელოდეთ საინტერესო წინადადებას, რაც კარგად იმოქმედებს თქვენი საქმის წარმატებაზე.

mSvildosani
ამ კვირაში დიდ წარმატებას მიაღწევთ სასწრაფო საქმეების მოგვარებისას, მაგრამ ამ დროს მოერიდეთ სინქარეს და ყველაფერი თანმიმდევრობით გააკეთეთ. ცვლილებები, რომელსაც ასე ელით არ დადგება თქვენი გადაწყვეტი ნაბიჯების გარეშე, გააგრძელეთ ახალი ნაცნობების ძებნა.

Txis rqa
ეს კვირა ძალიან საქმიანი იქნება, ამიტომ შეეცადეთ დაკავდეთ მხოლოდ აუცილებელი საქმეებით და სხვები გადადოთ დროებით. ნუ გააკრიტიკებთ ხელმძღვანელების ქმედებებს, შეიძლება არასწორად გაგიგონ, ეს ცუდად აისახება თქვენს რეპუტაციაზე.

გაზეთი „მთავარი თემა“ სამეგრელოში, ასხაღებს კონკურსს „წელიწადის გამყიდველი“-ს სახელზე

კონკურსში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ყველა გამყიდველმა, რომლის მაღაზიისთვის იყიდება გაზეთი. კონკურსში გამარჯვებულის გამომწვევა და დაჯილდოება გაიმართება რედაქციაში საზეიმო ვითარებაში.

კონკურსში მონაწილეობა შეაქვს ყველა გამყიდველს რომლის მაღაზიისთვის იყიდება გაზეთი.

რედაქციას შეუძლია შესთავაზოს გამყიდველს მიიღოს მონაწილეობა კონკურსში, შეიძლება აკითხველმა შეაღებინოს მონაწილეობა ან გამყიდველი თვითონ დაბუღოს მონაწილეობას გაზეთის მიერ გამოსხადავულ კონკურსში.

1. ხმის მიცემა მოხდება გაზეთში დაბეჭდილი კუპონების მეშვეობით.
 2. აკითხველს შეუძლია მისთვის ხმების ნებისმიერი რაოდენობა ერთ ან რამდენიმე გამყიდველს. არსებობს მხოლოდ ერთი პირობა - ხმის მიცემა შეიძლება მხოლოდ გაზეთიდან გამომტრილ კუპონზე (ქსეროქსზე გადაღებული კუპონები კონკურსში მონაწილეობას არ დაბუღებენ)
 3. თვეში ერთხელ ამოირჩევა - თვის საუკეთესო გამყიდველი, რომლის მიიღებს ჯილდოს-სიუპრიზს. თვეში ერთხელ ჯილდოს მიიღებს აგრეთვე ხმის მიცემის.
 4. წლის ბოლოს კი დასახელდება წელიწადის გამყიდველი, რომლის მიიღებს მნიშვნელოვან სარგებარს.
 5. ხმის მიცემა შეუძლია ყველა აკითხველს. თითოეულს შეუძლია შეავსოს გაზეთიდან ამოტრილი კუპონების ნებისმიერი რაოდენობა. კუპონები შეიძლება გაიზიაროს ან მოიგანონ რედაქციაში, ან შეიძლება მოიგანონ მაღაზიაში, რომელშიც იყიდება გაზეთი. მაღაზიიდან კუპონებს დაბუღებს რედაქციის თანამშრომელი.
- კონკურსის სხაღება ასევე ერთგული აკითხველი-ის სახელზე, წლის ბოლოს დაჯილდოვდება ის აკითხველი, რომლის რედაქციაში გაზეთის ყველა ნომერს ნარეზდავენს.

ცხელი ხაზი

გაზეთში „მთავარი თემა სამეგრელოში“
მოქმედებს ცხელი ხაზი.

სთუ გაქვთ პრობლემა: გესაჭიროებათ დახმარება ან გსურთ თქვენი ხმა მიაწვდინოთ კომპეტენტურ პირსა და ორგანოს, დაგვირეკეთ ნომრებზე:
599 34 14 17, 574 34 14 17, ჩვენ შეგეცდებით და გეხმაროთ პრობლემის მოგვარებაში; შეგიძლიათ დაგვირეკოთ საქალაქო ტელეფონზეც:
04293 22 40 50

კუპონი №3

შთაჯიშისილოში

გამყიდველის მთავარი პრიზი - - - - -

ხმის მიმცემის პრიზი - - - - -

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____

ხმის მიმცემის სახელი და გვარი _____

მისამართი: _____

ტელ: _____

ჩვენ მისამართი: ფოთი, წმინდა ნინოს 3/2, 0 492 22 40 50

გაზეთის ხელმოწერით საუბრალოდ!	გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17	გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ქურნალისტიკაში წარმატებული სტაჟირები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17
ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის 1 წლით - 50 ლარი 6 თვით - 25 ლარი 3 თვით - 12,50 ლარი კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის 3 თვით - 6 ლარი აკითხეთ გაზეთი შთაჯიშისილოში		

ინარგავლეთ გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ შედავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განსხადავები, რეკლამები, მიღობვაები. მოახსნის სამგლოვიარო განსხადავები, მიღობვა- ჩვეულებრივი პრიზებით - ერთი ასო 5 თეთრი, სქალი პრიზებით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორგანიზაციისთვის, სურათიანი განსხადავები: სამგლოვიარო - 15 ლარი, მიღობვა - 10 ლარი, არაკომლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე - მთლიანი გვ. (100სმ2)-150 ლარი, ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი; მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მესამე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე, ბოლოზე - სამჯერ ძვირია ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორგანიზაციისთვის. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმოწერაზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამომწვევის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოსაქმის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ. 3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

შთაჯიშისილოში თქვენი პრობლემების კვლადაკვალ